

**1.1 ტექნოლოგიები, რომლებიც ინახავს ან სწვდება მონაცემებს**

ჩვენ ვიყენებთ გარკვეულ ტექნოლოგიებს (მაგ., SDK-ებს, API-ებს, და ა. შ.; შემდგომში „ტექნოლოგიები“), რომლებიც პლატფორმის, ოპერაციული სისტემისა თუ პროგრამირების ენის მწარმოებლების მიერ სხვადასხვა მიზნებისთვის უზრუნველყოფილი ხელსაწყოებია. ასეთ ტექნოლოგიებს ვიყენებთ მკაცრად საჭირო ტექნიკური მიზნებისთვის ან იმისთვის, რომ თქვენს მოწყობილობაზე აპლიკაციის გამოყენება უფრო მოსახერხებელი გავხადოთ.

თქვენ თავისუფლად შეგიძლიათ არჩევანის გაკეთება და იმ ტექნოლოგიების გამოყენების დაშვება ან უარყოფა, რომლებიც თქვენს მოწყობილობაში ინახავს მონაცემებს ან წვდომა აქვს მათზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ აპლიკაციის გარკვეულ მოსახერხებელ პარამეტრებსა და ფუნქციებს სჭირდება ასეთი ტექნოლოგიები და შეიძლება არ მიეცეს სათანადო მუშაობის საშუალება, თუ ასეთი ტექნოლოგიების გამოყენება ნებადართული არ იქნება.

ამ ტექნოლოგიების გამოყენებაზე უარის თქმა შეგიძლიათ ჩვენს აპში თქვენი არჩევანის შეცვლით.

**1.2.1 მკაცრად საჭირო ტექნოლოგიები:** ასეთი ტექნოლოგიები თქვენს მოწყობილობაში ინახავს ან სწვდება მონაცემებს, რომლებიც მკაცრად საჭიროა ჩვენი აპლიკაციის მუშაობისთვის: ამ უმთავრესი ტექნოლოგიების გარეშე აპლიკაცია საერთოდ ან დანიშნულებისამებრ ვერ იმუშავებს და ეს ტექნოლოგიები საჭიროა ჩვენი აპლიკაციის თქვენს მოწყობილობაზე გასაშვებად.

ამ ტექნოლოგიების გამორთვა არ შეიძლება. თუ ამ ტექნოლოგიებს დაბლოკავთ, როგორც მომხმარებელი, ჩვენი აპი სათანადოდ ვერ იმუშავებს. თქვენთვის ჩვენი სერვისების უზრუნველსაყოფად ვიყენებთ საჭირო ტექნოლოგიებს ელექტრონული ვაჭრობის შესახებ GDPR-ის მუხლის 6(1)(f) და 2001 წლის CVIII აქტის სექციის 13/A(3) შესაბამისად.

ჩვენ ვიყენებთ შემდეგ ძირითად ტექნოლოგიებს:

დასახელება	მონაცემები	დანიშნულება	ტექნოლოგიის კატეგორია	მონაცემთა შენახვის პერიოდი
<b>Firebase RemoteConfig SDK</b>	მომხმარებლის მოწყობილობის ტიპი, მოწყობილობის ოპერაციული სისტემის ვერსიის მონაცემები	ამ ტექნოლოგიის დანიშნულება არის განახლების გამოქვეყნების გარეშე აპლიკაციის ქვევისა და გარეგნული მხარის შევლა.	მესამე მხარე	1 თვე

**1.2.2 ეფექტურობის ტექნოლოგიები:** ეს ტექნოლოგიები გულისხმობს ხელსაწყოებს, რომლებიც გამოიყენება, კონკრეტულად, აპლიკაციის ეფექტურობის მონიტორინგისთვის, მონაცემების შესაგროვებლად იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ ვიზიტორები აპლიკაციას, რომელ ნაწილებს იყენებენ და იღებენ თუ არა შეცდომის შესახებ შეტყობინებებს. ეფექტურობის ტექნოლოგიებს ვიყენებთ თქვენი თანხმობის საფუძველზე, ელექტრონული ვაჭრობის შესახებ GDPR-ის მუხლის 6(1)(a) და 2001 წლის CVIII აქტის სექციის 13/A(4) შესაბამისად. თანხმობის გაუქმება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ. თანხმობის გაუქმება არ მოქმედებს ადრინდელი თანხმობის საფუძველზე წარმოებული დამუშავების კანონიერებაზე.

ჩვენ ვიყენებთ შემდეგ ეფექტურობის ტექნოლოგიებს:

დასახელება	მონაცემები	დანიშნულება	ტექნოლოგიის კატეგორია	მონაცემთა შენახვის პერიოდი
------------	------------	-------------	-----------------------	----------------------------

<b>Firebase Crashlytics SDK</b>	მომხმარებლის მოწყობილობის ტიპი, iOS ვერსია, ავარიის მონაცემები	ეს ტექნოლოგია რეალურ დროში იტყობინება ავარიის შესახებ, რაც გვეხმარება, რომ ვაკონტროლოთ, პრიორიტეტების მიხედვით დავალაგოთ და მოვაგვაროთ სტაბილურობის პრობლემები, რომლებიც აპლიკაციის ხარისხს ამცირებს.	მესამე მხარე	12 საათი
<b>Firebase Perf SDK</b>	ეფექტურობის მონაცემები	ამ ტექნოლოგიის დანიშნულებაა, დაგვეხმაროს ჩვენი აპლიკაციის მახასიათებლების ეფექტურობის გაცნობაში.	მესამე მხარე	12 საათი
<b>FirebaseAnalytics SDK</b>	მომხმარებლის აქტივობა, მოწყობილობის ტიპი, აპის ვერსია, OS ვერსია	ამ ტექნოლოგიის დანიშნულებაა, დაგვეხმაროს, გავიგოთ, როგორ იყენებთ აპლიკაციას.	მესამე მხარე	1 წელი
<b>Google Analytics SDK</b>	მომხმარებლის აქტივობა, მოწყობილობის ტიპი, აპის ვერსია, OS ვერსია	ამ ტექნოლოგიის დანიშნულებაა, დაგვეხმაროს, გავიგოთ, როგორ იყენებთ აპლიკაციას.	მესამე მხარე	1 წელი

**1.2.3 მიზნობრივი ტექნოლოგიები:** მიზნობრივ ტექნოლოგიებს ვიყენებთ თქვენ შესახებ და თქვენი მოწყობილობიდან ინფორმაციის შესაგროვებლად იმისთვის, რომ ჩვენი აპი უფრო მეტად მოვარგოთ თქვენს საჭიროებებს და გიჩვენოთ თქვენი უპირატესი პარამეტრების მიხედვით თქვენთვის უფრო რელევანტური რეკლამები, ასევე, შევაფასოთ აპლიკაციის ანალიტიკური მონაცემები. მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი თქვენი თანხმობაა, რომელიც ეყრდნობა ელექტრონული ვაჭრობის შესახებ GDPR-ის მუხლს 6(1)(a) და 2001 წლის CVIII აქტის სექციას 13/A(4). თანხმობის გაუქმება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ. თანხმობის გაუქმება არ მოქმედებს აღრინდელი თანხმობის საფუძველზე წარმოებული დამუშავების კანონიერებაზე.

ჩვენ ვიყენებთ შემდეგ მიზნობრივ ტექნოლოგიებს:

დასახელება	მონაცემები	დანიშნულება	ტექნოლოგიის კატეგორია	მონაცემთა შენახვის პერიოდი
<b>GoogleMobileAds SDK</b>	მომხმარებლის უპირატესი პარამეტრები	ამ ტექნოლოგიის დანიშნულებაა, მოგვცეს შესაძლებლობა, შემოგთავაზოთ რეკლამები ჩვენს აპლიკაციაში.	მესამე მხარე	1 წელი

**1.2.4 ფუნქციური ტექნოლოგიები:** ამ ტექნოლოგიებს ვიყენებთ იმისთვის, რომ საშუალება მივცეთ აპლიკაციებს, გამოგიგზავნოთ შეტყობინებები და გაფრთხილებები, ასევე, შემოგთავაზოთ მოსახერხებელი სერვისები. ფუნქციური ტექნოლოგიები შეიძლება გამოვიყენოთ თქვენი თანხმობის საფუძველზე, ელექტრონული ვაჭრობის შესახებ GDPR-ის მუხლის 6(1)(a) და 2001 წლის CVIII აქტის სექციის 13/A(4) შესაბამისად.

ჩვენ ვიყენებთ შემდეგ ფუნქციურ ტექნოლოგიებს:

დასახელება	მონაცემები	დანიშნულება	ტექნოლოგიის კატეგორია	მონაცემთა შენახვის პერიოდი
<b>Airship SDK</b>	პირდაპირი ჩართულობა (დაწკაპუნებები), სესია, ინდივიდუალური მოვლენები, ბრაუზერის ქუეჩი-ჩანაწერები, ატრიბუტები, თეგები, სახელის მქონე მომხმარებელი, რეგისტრაცია, უარის თქმა	ამ ტექნოლოგიის დანიშნულებაა თქვენთვის შეტყობინებების გამოგზავნა და თქვენი მოწყობილობიდან მონაცემთა შეგროვება.	მესამე მხარე	1 წელი
<b>Firestore Messaging Android SDK</b>	ელფოსტის მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი	ეს ტექნოლოგია გვადლევს თქვენთვის push-გაფრთხილებებისა და შეტყობინებების გამოგზავნის შესაძლებლობას.	მესამე მხარე	1 წელი
<b>Cartrawler Mobility SDK</b>	ქვეყანა, მდებარეობის მონაცემები, მგზავრობის მონაცემები	ეს ტექნოლოგია შესაძლებლობას გვადლევს, ჩვენ აპლიკაციაში შემოგთავაზოთ სახმელეთო ტრანსპორტის ახალი ვარიანტები.	მესამე მხარე	1 წელი
<b>Regula SDK</b>	სურათები, მომხმარებლების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები	ამ ტექნოლოგიის დანიშნულებაა, მოგვცეს შესაძლებლობა, რომ წავიკითხოთ სხვადასხვა სახის საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, პასპორტები, ID ბარათები და ა.შ. თქვენს მოწყობილობაში დამუშავება მთლიანად კავშირგარეშე რეჟიმში მიმდინარეობს.	მესამე მხარე	1 წელი
<b>DGC SDK</b>	ციფრულ Covid-სერტიფიკატთან დაკავშირებული მონაცემები	ამ ტექნოლოგიის დანიშნულებაა COVID-19-ის თქვენს სერტიფიკატთან დაკავშირებული ინფორმაციის ინტეგრირება ჩვენს აპში.	მესამე მხარე	1 წელი

<b>PayCardsRecognizer SDK</b>	მომხმარებლის მონაცემები, საკრედიტო ბარათის მონაცემები	ამ ტექნოლოგიის დანიშნულებაა საკრედიტო ბარათის სკანირების ინტეგრირებული ფუნქციის უზრუნველყოფა.	მესამე მხარე	1 წელი
-------------------------------	-------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------	--------------	--------

1.3 აპში გამოყენებული ტექნოლოგიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გასაცნობად, გთხოვთ, დაგვიკავშირდით შემდეგ გვერდზე მოცემული ჩვენი ელექტრონულ საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით: <https://wizzair.com/ka-ge/information-and-services/contact/contact-us>